პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 215 (11826) | ხუთშაბათი, 15 სექტემბერი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ყურძენი ღუის აღაზანზე

ალაზნის ველზე ზვრებში შემოდგომის სურნელი ჩამდგარა. რქაწითელის მტევნები ქარვას დამსგავსებია, საფერავი შავად მინაბულა, მწვანეც მწიფეა.

ენამთის აღმოსავლეთით თვალუწვდენელი ზვრები რომ არის, ხარსის ი. ბ. სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობა-ქარხანას ეკუთვნის. გაუვალ ნაძეძვარზე, სადაც წინათ ტურა და მელა ჩხაოდა, ახლა მაჯის სიმსხო ვაზებს გაუშლიათ მკლავები. მწიფე, ვეება მტევნები გვეუბნება, რომ წლევანდელი უამინდობა მევენახეთა სიბეჯითეს დაუმარცხებია...

როგორ დაიწყო. დიდმა და პატარამ ზვრებს მიაშურა. ორასამდე ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა ერთმანეთს ყურძნის კრეფაში ეჯიბრება.

თვითეულმა 350 კილოგრამი უნდა მოკრიფოს. ეს არის ნორმა, ფაქტიურად ექვსასსაც არ სჯერდებიან. ასობით კოდი, გზებზე რომ გაუმწკრივებიათ, სწრაფად ივსება. მკლავლონიერი ვაუკაცები ყურძენს ავტომანქანებზე ტვირთავენ და ღვინის ქარხანაში გზავნიან.

მოსავლეთით მდინარე ალაზნის პირას დასახლებულა. თავიანთი სოფლისათვის ძველი სახელი — კოლოთო დაურქმევიათ. ახლა კი აქ, ხიღნაღის რაიონში ძველ ნასოფლარზე ვაზი ხარობს და მერე როგორ, გეგმის ზევით ჰექტარზე 30-40 ცენტნერ ყურძენს კრეფენ.

— ამ ადგილებში, — ამბობს მეურნეობის დირექტორი, — ორას ჰექტარზე მეტი ვენახი გვაღია შეაწუხა. წყალი არა გვაქვს. ალაზნის არხიდან წყლის გადმოსაჭაჩი სადგური მოვაწყეთ, მაგრამ 1.300 მეტრი მილი დაგვაკლდა და ვეღარ ვიშოვნეთ. ამით მარტო წელს სულ ცოტა 420 ტონა ყურძენი დავკარგეთ.

ღვინის ქარხანაში არ წყდება მუშაობა. შარშან 3.800 ტონა ყურძენი გადაამუშავეს. ეს ციფრი შვიდასი ტონით გაიზრდება. წელს ახალი ტიპის მანქანები დადგეს, რომლებსაც წარმადობა დიდი აქვს. დააყენეს განუწყვეტელი მოქმედების დასპირტავის აპარატურა, რომელიც მეღვინე ტექნოლოგმა ა. ჩხეტიანმა შეიმუშავა. ამან დიდად შეამცირა მუშახელის საჭიროება და დანაკარგები. ყურძნის მიმღებ განყოფილებაში შუშის მილგაყვანილობა მოაწყეს, ამანაც გააადვილა შრომა.

ქარხნის კოლექტივმა გამოცდა ჩაბარა. პირველ დღეს არც ერთი დანადგარის მუშაობა არ შეფერხებულა. მეღვინე ა. ბეჟანიშვილი თავს დასტრიალებს მწონავებს, ლაბორანტებს. მერი ხიფრაშვილი სიზუსტით ადგენს ყურძნის შაქრიანობის პროცენტს.

მთავარ მეღვინეს ვლადიმერ ავსაჯანიშვილს გარეთ ვერავინ ნახავს. იგი ხან ყურძნის მიმღებებთან არის, ხან საწურავ განყოფილებაში, უფრო მეტ დროს კი ღვინის „დავუკაცებას“ ანდომებს.

— წელს, — თქვა ავსაჯანიშვილმა, — 380 ათასი დეკალიტრი ღვინო უნდა მივცეთ სამშობლოს. ეს გეგმაა, ფაქტიურად კი მეტი იქნება. ხარისხზეც ვერავინ დაგვემდურება.

ხარსის სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობა-ქარხანამ ხიღნაღის რაიონში პირველმა დაიწყო რთველი. მალე საკოლმეურნეო ზვრებშიც გაჩაღდება ყურძნის კრეფა.

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

სურამზე: რთველი ხარსის სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში. (ზემოდან ქვემოთ) მოწინავე მკრეფავები კომკავშირელები მაყვალა გზირაშვილი (მარცხნივ) და ლეილა მჭედლიშვილი; მეტრნეობის მუშაკი ლაბორანტი ელენე გზირაშვილი იღებს ნიმუშს ყურძნის შაქრიანობის განსაზღვრისათვის; ვანო პაპამ პატარებს გულდაგული შეურჩია ყველაზე ბარაქიანი ქარვისფერი ჩხები.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მეოთხე აგრონომის უფროსს გიორგი კვაცაშვილს სიბეჯითეში ბევრი ვერ შეედრება. მოცლილი არასოდეს არ არის, მაგრამ ახლა რთველია და მეტი ჯაფა ადგას, მთელი წლის ნაამაგარის დაბინავებას ჩქარობს. მკრეფავები პირველად მის ნაკვეთში შევიდნენ. მათ ყურადღებას არ აკლებს. ყველას ურჩევს მტევნები ფრთხილად აჭრან, მარცვალი არ დააბნიონ, მოუკრეფავი არ დარჩეთ; მტვრთავებს აფრთხილებს ავტომანქანები არ მოაცდინონ, ავტომძღოლებსაც თვალყურს ადევნებს. პირველი დღე რომ მიიწურა, გიორგიმ უბის წიგნაკში ჩაწერა: „მწვანე დაკრიფა შვიდ ჰექტარზე. მოლებულია 490 ცენტნერი, საშუალოდ ჰექტარზე სამოცდაათი ცენტნერი. გეგმა გაცილებით ნაკლებს ითვალისწინებს. ჩინებულია“!

— მწვანეს კრეფენ მესამეუბნელებიც. ყურძნის სიუხვით ხარობს აგრონომი ვალერიან ჩაჩნაშვილი.

ლევან ნაცვლიშვილმა ხარსაში მიიღო პირველი წრთობა. პირველად უბნის აგრონომად მუშაობდა, შემდეგ უფროსი აგრონომობა დააკისრეს, გავიდა ხანი და მეურნეობის დირექტორს ეოადგილედ დაანიშნეს. ახლა ოთხმოც ცენტნერზე ცოტა მეტი მივიღეთ. სამშობლოს შვიდი მილიონი მანეთი მოგება მივეცით, გეგმა კი ოთხ მილიონს ითვალისწინებდა. როგორც ხედავთ, წარმატება მცირე არ გვქონია, მაგრამ ამთ როდი გავმედიდურდით. წელს გაცილებით უკეთესად დავამუშავეთ ვენახები. შედეგი სახიბარულია. ჯერჯერობით მცირემოსავლიან ნაკვეთებს ვკრეფთ. გეგმით 63 ცენტნერი უნდა მიგვეღო, ფაქტიურად სამოცდაათ ცენტნერს ვიღებთ. დანამვლილებით შეიძლება ითქვას, რომ წელს სამშობლოს ჰექტარზე სულ ცოტა 90 ცენტნერი ყურძნის მიღებას ვუპატაკებთ.

დირექტორის ნათქვამი საეჭვო არ არის. პირველი უბნის ვენახებს (აგრონომი ა. მათიაშვილი) თვალს ვერ მოაშორებ. მტევნებისაგან ვაზები იდრიკება. ურწყავია, მაგრამ ჰექტარზე საშუალოდ 115 ცენტნერი ყურძენი მაინც იქნება. ახლა ხარისხს არ იტყვით! მტევნები უზადოა, შაქრიანობა ოც პროცენტს ამეტებს.

კოლოთოს ხევის ფერდობებში წინათ სოფელი კოლოთო ყოფილა გაშენებული. შაჰ-აბასს იგი პირისაგან მიწისა აღუგია. ვინც მის რიხხვას გადარჩენია, შორს გახიზნულა და ახმეტის აღმოსავლეთ ნაწილში ერეკლეს ციხეს ეფარებოდა. ეს ადგილი ერეკლეს ეჭირა. ეს ციხე ერეკლეს ბრძოლებში ბევრჯერ ... ...

ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲘᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲑᲔᲠᲙᲔᲗᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

ᲔᲠᲗ წელზე მეტი გავიდა, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა საარჩევნო და საკავშირო საწარმოების პირველად პარტიულ ორგანიზაციებში შექმნილიყო კომისიები ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის უფლების განსახორციელებლად, ეს ღონისძიება მიმართულია იქითკენ, რომ ამაღლდეს პარტიული ორგანიზაციების როლი სახელმწიფო გეგმების შესრულებაში, გაძლიერდეს საამართველო ორგანოების მუშაობისადმი საზოგადოებრივი კონტროლი, უფრო ფართოდ მივიზიდოთ მშრომელები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში მონაწილეობისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების შესაბამისად ჩვენი რესპუბლიკის საარჩევნელო და საკავშირო საწარმოებში, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებში შეიქმნა სახელმწიფო დავალებების, და კოოპერირებული მიწოდების შესრულების, პროდუქციის ხარისხის, საშენებლო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების, ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმების შესრულების, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის და სხვა პარტიული კონტროლის კომისიები.

საზოგადოებრივი კონტროლის ახალმა ფორმებმა გვიჩვენეს თავისი ცხოველმყოფელობა, გახდნენ მნიშვნელოვანი საშუალება შვიდწლედის შესრულებისათვის ბრძოლაში. საწარმოთა ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციების კომიტეტები და ბიუროები კომისიების საქმიანობაზე დაყრდნობით მნიშვნელოვნად აუძღობესებენ საწარმოს ხელმძღვანელობას, კომისიები ეხმარებიან პარტიულ ორგანიზაციებს სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის თავიანთი როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლებაში.

პარტიული ორგანიზაციების ბევრი კომიტეტი და ბიურო სისტემატურად ხელმძღვანელობს და წარმართავს კომისიების საქმიანობას. თავის მხრივ კომისიები ავლენენ ინიციატივას და პრინციპულობას ცალკეულ უბნებზე საქმის არსის შესწავლაში, იმუშავებენ რეკომენდაციებს და შეაქვთ ისინი პარტიულ კრებებზე და ბიუროებზე განსახილველად, რასაც დადებითი შედეგები მოაქვს.

ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირების კონტროლის კომისიის ხელმძღვანელობით წარმოებაში დაინერგა სტერილიზებული ღარი, რაც რამდენიმე ასეული ათასი მანეთის ეკონომიას იძლევა.

ქიათურის მარგანეცის ტრესტის სტალინის სახელობის მაღაროთა სამმართველოში, პროდუქციის თვითღირებულებისა და შრომის ნაყოფიერების პარტიული კონტროლის კომისიამ დაადგინა, რომ მაღაროს შესამე და მეოთხე საწარმოო უბნებზე მარგანეცის დატვირთვა დაბალ ტექნიკურ დონეზე წარმოებდა, აღგილი ჰქონდა მაღნის დანაკარგებს, მუშახელის სიჭარბეს, რაც ზრდიდა პროდუქციის თვითღირებულებას. კომისიამ ეს საკითხი პარტბიუროსა და ადმინისტრაციის წინაშე დააყენა, სათანადო ღონისძიებების განსორციელების შემდეგ მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

 თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხანაში კოოპერირებული მიწოდების გეგმების შესრულების კონტროლის კომისია სისტემატიურად აღიარებს თვალყურს იმას, რომ სხვა საწარმოებსა და ეკონომიურ რაიონებს დროულად მიაწოდონ პროდუქცია. ამის შედეგია ის, რომ ქარხანას ერთხელაც არ დაფრღვევია კოოპერირებული მიწოდების ვალდებულებები. ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში ახალი ტექნიკის დანერგვის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პარტიული კონტროლის კომისიამ დაწერილებით შეისწავლა ახალი მანქანების წარმოებასათვის მომზადებაში ჩამორჩენის მიზეზები, დასახა და მიაღწია ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებმაც უზრუნველყვეს საცდელი ნიმუშების დამოშვება და ცალკეული კვანძებისა და დეტალების წარმოების ათვისება.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან აგრეთვე პარტიული კონტროლის კომისიები ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული, ქუთაისის საავტომობილო, თბილისის კიროვის სახელობის ქარხნებში, ბათუმის სამკერვალო ფაბრიკაში, ახალი ათონის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში და სხვა საწარმოებში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია სათანადოდ არ აფასებს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის ამ ახალი ფორმების მნიშვნელობას და უპირატესობას, ისინი ძირითადად შემოფარგლნენ იმით, რომ კომისიები შექმნეს, ხოლო მათი მუშაობისათვის ხელმძღვანელობა დაიკიწყეს.

ქიათურაშენის სამშენებლო სამმართველოს მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია შრომის ნაყოფიერების ზრდის დარგში, მაგრამ შესაბამისი პარტიული კონტროლის კომისია არ სწავლობს ჩამორჩენის მიზეზებს, არ ახორციელებს ორგანიზაციულ ღონისძიებებს მათ აღმოსაფხვრელად.

ოჩჩამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში პარტიული კონტროლის კომისიას ერთი საკითხიც არ შეუტანია ბიუროზე განსახილველად. მიუხედავად იმისა, რომ წელს ცენტნერი ჩაის ფოთლის თვითღირებულება შარშანდელთან შედარებით ზოგიერთ ბრიგადაში გაიზარდა, პარტიული კონტროლის კომისიები ამ საკითხით არ დაინტერესებულან. პარტიული კონტროლის კომისიები უმოქმედდობენ აგრეთვე სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატში, ბათუმის თამბაქოს ფაბრიკაში, სალიბურის საბჭოთა მეურნეობაში. არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სავაჭრო ორგანიზაციებთან შექმნილი პარტიული კონტროლის კომისიები ქუთაისში, ფოთში, თბილისში. ისინი არ იღებენ ზომებს საქონლის შეუფერხებელი შემოზიდვისათვის, საბჭოთა გაჭრობის წესების დაცვისათვის.

ზოგჯერ კომისიები იგიწყებენ იმას, რომ ისინი თავისთავად არ წარმოადგენენ განსაკუთრებულ საკონტროლო ორგანოს, არამედ არიან ერთ-ერთი ორგანიზაციული ფორმა, რომლის მეშვეობითაც პარტიული ორგანიზაციები ახორციელებენ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, რაც მათ მინიჭებული აქვთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებით. ისინი ზედმეტად აფასებენ თავიანთ უფლებებს, იბდენენ ადმინისტრირებას ან გამოდიან პარტიული ორგანიზაციების შემცველად. ასეთ ფაქტს ადგილი ჰქონდა, მაგალითად, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში.

არის პარტიული კონტროლის კომისიების არასწორი დაკომპლექტების ფაქტები. კომისიებში ზოგჯერ შედიან მხოლოდ ადმინისტრაციის წარმომადგენლები. მაგალითად, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ორგონიკიძის სახელობის შახტაში ახალი ტექნიკის დანერგვისა და მოწყობილობის გამოყენების პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარეა შახტის მთავარი მექანიკოსი, რომელიც უშუალოდ აგებს პასუხს ამ საკითხებზე.

პარტიული ორგანიზაციების კომიტეტებისა და ბიუროების ამოცანაა ყოველდღიურად წარმართონ პარტიული კონტროლის კომისიების საქმიანობა, მიაღწიონ მეტ კონკრეტულობასა და ოპერატიულობას მათს მუშაობაში, დაუყოვნებლივ განიხილონ კომისიების წინადადებანი და დროულად მიიღონ ზომები მხილებული ნაკლის აღმოსაფხვრელად, მათ პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობაში ფართოდ უნდა მიიზიდონ პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი, სუკეთესო უპარტიო მუშები, სპეციალისტები, წარმოების კარგი მცოდნე ადამიანები, უზრუნველყონ მეჯდრო ურთიერთკავშირი პარტიული კონტროლის კომისიების და სიზოგადოებრივი კონტროლის სხვა ფორმების საქმიანობაში.

ე. ლუდუშაური,
ტ. ჯაბადარი,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორები.



ᲯᲘᲚᲓᲝᲓ—ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲘ

ᲗᲘᲠᲯᲝᲚᲐ. (საკ. კორ.). სოფელი ზედა საზანო ძველთანამედროვეობა მეკვნახეობაში. განსაკუთრებით ისახელა თავი კოლმეურნეობა „ᲬᲘᲗᲔᲚᲛᲐ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘᲡᲐ“. აქ გასულ წელს თვითეულ ჰექტარ ᲗᲔᲤᲚᲘᲡᲖᲔ საშუალოდ 90 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი მიიღეს.

ზედასაზანოელმა კოლმეურნეებმა ამ დღეებში სასიხარულო ამბავი შეიტყვეს. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მილწევათა გამოფენის მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებით 1959 წელს მაღალხარისხოვანი ყურძნის მიღებისათვის სოფელ ზედა საზანოს კოლმეურნეობა „ᲬᲘᲗᲔᲚᲛᲐ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘᲡᲐ“ დაჯილდოებულია პირველი ხარისხის დიპლომით, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ვ. ბარამიძე — ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘთ, ᲮᲘᲚᲘ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲡ Ა. ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ — ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘთ და რადიომიდლებით.

ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲧᲝᲓᲜᲐᲡ ᲘᲫᲔᲜᲔᲜ

ᲥᲘᲗᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქის ასობით მაღაროელი და მშენებელი წარმოებისაგან მოუწყვეტლივ იღებს უმაღლეს საინჟინრო განათლებას.

ქიათურაში ცნობილია კალინინის სახელობის მაღაროს მეორე უბნის კომუნისტური შრომის ცვლის წარმატებები. მას ახალგაზრდა სამთო ტექნიკოსი ო. ლორია ხელმძღვანელობს. მან წელს წარმატებით ჩაბარა გამოცდები და უკვე სასარგებლო წიაღისეულ მადნეულ ბუდობთა დამუშავების ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია. წელს გახდნენ სტუდენტები აგრეთვე ამავე მაღაროს ცვლის უფროსი გ. სახეიძე, მემანქანე ნინი ერისთავი, დამხმარე მუშა თინა ტყემალაძე და სხვები.

დამკვრელ მშენებლობებზე კომკავშირული საგზურით ჩამოსული ბევრი ახალგაზრდა წარმატებითაც მუშაობს და თანაც სტუდენტები გახდნენ. თავდადებულად შრომობს მებეტონეთა ბრიგადა, რომელსაც ფოთელი ახალგაზრდა ლ. გაბუნია უძღვება. გაბუნიამ კარგად ჩააბარა გამოცდა და უკვე მიდროგეოლოგიური ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია. ამავე ბრიგადის წევრები წყალტუბოელი ზ. კეთილაძე და გეგეჭკორელი შ. გალდავა სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობათა ფაკულტეტზე შევიდნენ. მოწინავე დურგლები ორჯონიკიძელი ძმები რევაზ და ილია გელაშვილებიც სტუდენტები არიან.

ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲛᲐ ᲠᲐ ᲓᲐᲐᲨᲐᲕᲐ?!

1. ᲩᲮᲝᲢᲐᲢᲣᲠᲘᲡ რაიონის მოწინავე კოლმეურნეობები გონივრულად იყენებენ ირსებულ რეზერვებს პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. ახლა აქ ყოველდღიურად მზადდება პირუტყვისათვის როგორც უხეში საკვები, ისე სილოსი.

სოფელ ნიდისთაის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. მეფარიშვილი) გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ დროზე მიიღეს ზომები პირუტყვისათვის საკვების დასამზადებლად. ამ საქმეში არც მაღალმთიანი სოფლის ზოტისა და სხვა კოლმეურნეობები ჩამორჩებიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ ითქმის რაიონის ყველა კოლმეურნეობაზე.

ჩოხატაურის რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში არასახარბიელო მდგომარეობაა პირუტყვისათვის საკვების დამზადების საქმეში. წელს დამზადებულია მხოლოდ 1.382 ტონა სილოსი, გასული წლის შესაბამის პერიოდში კი დამზადებული იყო 4.563 ტონა. კიდევ უფრო დიდი ჩამორჩენაა თივის დამზადებაში.

პირუტყვისათვის საკვების დამზადების საუკეთესო ამინდებს ხელიდან უშვებენ სოფელ საჯამიასერის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. კვინცარაძე). აქ გეგმით 1.690 ცენტნერი თივა და 900 ტონა სილოსი უნდა დამზადდეს. 5 სექტემბრისათვის კი ერთი კილოგრამიც არ იყო დამზადებული.

ამ კოლმეურნეობაში პირუტყვისათვის რომ არ ზრუნავენ, იქიდანაც ჩანს, რომ გასული წლის შესაბამის დროსთან შედარებით წელს წველადობა თვითეულ ძროხაზე 122 ლიტრით შემცირდა.

სოფელ ონჩიქედის კოლმეურნეობაში დანაშაულებრივად აჭიანურებენ თივისა და სილოსის დამზადებას. აქ თვითეულ საფურაქე ძროხაზე წელს მიღებული აქვთ 509 ლიტრი რძე, ნაცვლად გასული წლის შესაბამის პერიოდში მიღებული 708 ლიტრისა. ონჩიქედელები რატომღაც ივიწყებენ, რომ ცუდი კვების და მოუვლელობის შედეგად კოლმეურნეობაში წელს 15 სული პირუტყვი დაიღუპა.

ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც დიდივანის კოლმეურნეობაშია. არტელის ხელმძღვანელობას (თავმჯდომარე მ. რამიშვილი) მთლიანად გამორჩა მხედველობიდან პირუტყვისათვის საკვების დამზადება. მაშ რით უნდა აგსნათ ის ფაქტი, რომ ვალდებულებთ იკისრეს დამზადონ 700 ცენტნერი თივა, 700 ტონა სილოსი, დღეისათვის კი სულ ცოტა აქვთ დამზადებული.

თივისა და სილოსის დამზადება მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს სოფელ დაბლაციხის კოლმეურნეობაშიც. დაბლაციხელებს დავიწყებათ გასული წლის მწარე გაკვეთილი, როცა პირუტყვის საკვების სხვა რაიონებში შეძენაზე რამდენიმე ათეული ათასი მანეთი დახარჯეს. ეს არ მოხდებოდა, ადგილობრივი რეზერვები რომ გამოეყენებინათ.

პირუტყვისათვის საკვების დამზადების სამუშაოები სამარცხვინოდ ჩამორჩენია სოფლების ოხილგანის, შუასურების, ბეღოლეთის, ხევის, ბუქსიეთის, ბუკისციხის, გოგოლესუბნის, განახლების და სხვა კოლმეურნეობებში.

იმას ვინ უარყოფს, რომ ჩოხატაურელმა კოლმეურნეებმა წელს დიდ წარმატებებს მიაღწიეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფაში. მაგრამ პირუტყვმა რა დააშავა? ახლა ბალახის თიბვისა და სილოსის დამზადების საუკეთესო დროა და აქ ხელიდან მიდის. მოსავლის აღების სამუშაოებიც ხომ კარზეა მომდგარი.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი ქაღალდზე რომ არ დარჩეს, საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ეს დღეები პირუტყვისათვის საკვების დასამზადებლად, რაც მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის აუცილებელი პირობაა.

გ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

2. ᲫᲣᲘᲒᲣᲚᲔᲚᲛᲐ მეცხოველეებმა კარგად იციან, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ერთი ერთი მთავარი პირობა საკვების სიუხვეა. ამიტომ მოწინავე კოლმეურნეობები ცდილობენ ხელიდან არ გაუშვან პირუტყვის ნოყიერი და მრავალფეროვანი საკვების დამზადებისათვის ხელსაყრელი ეს დღეები.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა სოფელ დაბაძველის კოლმეურნეობა, რომელსაც სათავეში უდგას სოფლის მეურნეობის გამოცდილი მუშაკი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. გვენეტაძე. აქ წელს დროულად შეაკეთეს და წესრიგში მოიყვანეს სასილოსე კოშკები, დააკომპლექტეს საკვებმომპოვებელი ბრიგადები. სექტემბრის პირველი რიცხვებისათვის კოლმეურნეობას უკვე ჩადებული ჰქონდა ორას ტონაზე მეტი სილოსი.

მიუხედავად ამინდის ცუდი პირობებისა, სილოსის დამზადებას ჩქარი ტემპით აწარმოებენ მუხურის, გურნის, კუსლების და რაიონის სხვა კოლმეურნეობები.

მაგრამ სილოსის დამზადება ყველა კოლმეურნეობაში დამაკმაყოფილებლად როდი მიმდინარეობს. ჩვენ დავინტერესდით სასოფლო-სამეურნეო სამეშაოებით. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობას სტატისტიკური აღრიცხვის ფორმულარის „სილოსის დამზადების“ გრაფაში ნული უწერია. ასეთ კოლმეურნეობათა რიცხვს ეკუთვნის ციხის გამსხვილებული კოლმეურნეობაც.

— რატომ არ ამზადებთ სილოსს? — შევეკითხეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. გოჩელაშვილს.

— წელს ხილის უხვი მოსავალია, მთელი მუშახელი ამ სამუშაოთია დასაქმებული. აბა რა ვიღონოთ, ძვირფას ვაშლსა და მსხალს ხომ ვერ დავალპობთ? — გვიპასუხა მან.

მაგრამ ხილის უხვი მოსავალი როდი უშლის ხელს სილოსის დამზადებას. საქმე ის არის, რომ აქ დროულად არ მოემზადნენ ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისათვის. კოლმეურნეობას 30 აგვისტოსათვის შეკეთებული არ ჰქონდა სასილოსე მასის საჭირელი 2 მანქანა.

სილოსის ჩასადებად ცუდად მოემზადნენ ზედა ჭყეპის კოლმეურნეობაში. 30 აგვისტოსათვის აქ არც ერთი ტონა სილოსი არ იყო დამზადებული. სასილოსე კოშკები გამზადებული არ არის. კოლმეურნეობის ხელმძღვანელები რაღაცას უცდიან, ათასგვარ მიზეზებს ასახელებენ და ხელიდან უშვებენ ძვირფას დროს.

სილოსის დამზადება დაწყებული არა აქვთ მანდიკორის, კოკის, ოჯოლის, ხრეისილის და ამუსის კოლმეურნეობებს. სწორედ ამით აიხსნება, რომ რაიონში 1.000 ტონა სილოსიც არ არის ჯერ ჩაყრილი, მაშინ როცა წლიური გეგმით 12 ათასი ტონა სილოსია დასამზადებელი.

საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყოველი დღე სილოსის დასამზადებლად. კოლმეურნეობებმა პრაქტიკაში უნდა დანერგონ ღამით დასილოსება, მოაწყონ ორ ა სამ ცვლად მუშაობა, რათა თავი დააღწიონ ჩამორჩენას ამ მნიშვნელოვან საქმეში.

ვ. ციბერკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ პირველი მექანიკური ქარხნის შემკეთებელი საამქროს კოლექტივი წარმატებით მონაწილეობს საწარმოს ყოველთვიურ დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულების სათვის ბრძოლაში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: საამქროს უფროსი ოსტატი გ. აბულაძე (მარჯვნივ) და ოსტატი ზ. ოგანოვი არჩევენ ახათვისებელი დეტალის ნახაზს.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲔᲗᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ, ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ, ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲖᲐᲜᲐᲡ, ᲥᲐᲢᲘᲐᲜᲐ ᲥᲣᲔᲒᲣᲩᲐᲕᲐᲡ

ᲡᲐᲧᲝᲤᲔᲚᲓᲗᲐᲝᲓ ცნობილი გახდა ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის ᲣᲓᲐᲜᲝᲕᲘᲡ სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეს, სოციალისტური შრომის გმირის ქალბატონ ᲥᲐᲢᲘᲐᲜᲐ ᲥᲣᲔᲒᲣᲩᲐᲕᲐᲡ დიდი „წარმატებები. იგი ყოველწლიურად 14-16 ათას კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს. ამ წარმატებებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. ქალბატონ ᲥᲣᲔᲒᲣᲩᲐᲕᲐᲡ შრომითს გმირობას იცნობენ ჩინეთში, კორეაში, სირიაში, ანხუეის პროვინციაში; აქაურმა მეჩაიემ „სახალხო კომუნის“ ᲬᲘᲗᲐᲠᲛᲐ ᲯᲣᲜ ᲪᲘᲜ-ᲮᲘᲛ და ᲥᲐᲢᲘᲐᲜᲐ ᲥᲣᲔᲒᲣᲩᲐᲕᲐᲛ 1959 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ მეგობრობა დაამყარეს, ერთმანეთს ეჯიბრებიან მეტი ჩაისათვის ბრძოლაში. მათ სისტემატური მიწერ-მოწერა აქვთ ერთმანეთთან.

მაგრამ ᲥᲐᲢᲘᲐᲜᲐ ᲥᲣᲔᲒᲣᲩᲐᲕᲐᲡ მიღწევებზე არა მარტო ჩინეთში, არამედ ჩრდილოეთ კორეაშიც შეიტყეს და ალაპარაკდნენ. ამ დღეებში ᲥᲐᲢᲘᲐᲜᲐ ᲥᲣᲔᲒᲣᲩᲐᲕᲐ ჩრდილოეთ ხამგიონის პროვინციის ქალაქ ნანამიდან მიიღო კიმ ჩონ ვონის წერილი, რომელიც ქვემოთ იბეჭდება.

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝᲛ ᲥᲐᲢᲘᲐᲜᲐ ᲥᲣᲔᲒᲣᲩᲐᲕᲐ! დიადი საბჭოთა არმიის მიერ კორეის განთავისუფლების 15 წლისთავზე მხურვალე სალამს ვუგზავნი ყველა საბჭოთა მეგობარს და პირადად თქვენ! ამასთანავე სურვილი გამოცდილ ოსტატებსაც არ ჩამოუვარდებიან.

მათ ხელში წვრილად დახერხილი ფიცრის ნაჭრები სწრაფად იღებს სასურველ ფორმებს. ფიცრის ნაჭრებს ჯერ სახარშავ ქვაბში აწყობენ, მერე აშრობენ, ამრგვალებენ, ღუნავენ.

საწარმო ჯერ ნაწილობრივ არის საექსპლოატაციოდ გადაცემული. სრული სიმძლავრით ამუშავების შემდეგ ფაბრიკაში წლიურად 400 ათას სკამს დაამზადებენ; ეს მეტად მნიშვნელოვანია სკამებზე მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის.

— ჩვენ პროდუქციასაც გუშვებთ და კიდევაც ვსწავლობთ, ხვალინდელი დღისთვის ვემზადებით, — ამბობს ფაბრიკის დირექტორი ვასილ გოგოლაძე, — ხვალინდელი დღე კი ბევრად გაზრდილ მოთხოვნილებას გვიყენებს. თუ მაქსიმალურად გამოვიყენებთ რეზერვებს, შეგვიძლია წელიწადში დაკმაყოფილდთ დაახლოებით ნახევარი მილიონი სკამი, და ეს ურდა ვაკაკეთოთ. გათვალისწინებული გვაქვს გავაფართოოთ პროდუქციის ასორტიმენტი. მომავალი წლიდან გამოვუშვებთ ნახევრად რბილ და რბილ სავარძლებს, სხქანელებს, ტანსაცმლის საკიდებს, ბავშვის სკამებსა და მაგიდებს.

გამართულ და ნაყოფიერ მუშაობაში ფაბრიკის კოლექტივს მთელი რიგი მიზეზები უშლის ხელს. დაგიწყოთ შედარებით უმნიშვნელოდან: საწარმო მოწყვეტილია სატელეფონო კავშირის.

ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ უწყვეტენ წყალს. საწარმო არადამაკმაყოფილებლად მარაგდება დამხმარე მასალებითაც.

და, ბოლოს, ერთი მიზეზიც. რომელიც შეიძლება საბედისწერო გამოდგეს. ეს არის სკამის მასალები. ფაბრიკაში სკამის საჯდომებს არყის ხისაგან ამზადებენ, დანარჩენ დეტალებს — წიფლისაგან. გალაქვის დროს წიფლის დეტალები მუქ ფერს იღებს, არყისა კი — ღიას. ამიტომ სკამიც ზებრასავით აჭრელებულია, ამასთან შესახედაოდ საერთოდ უხეშია.

ამბობენ, პირველი პური ყოველთვის კუტი გამოდისო. მაგრამ ფაბრიკის კოლექტივი ამით თავს ნუ დაიიმედებს. მომხმარებელმა დაბალი ხარისხის გამო თუ ერთხელ ზურგი შეაქცია ამ საწარმოს მიერ გამოშვებულ სკამებს, მერე ფეხზე დგომით ზეზეურად რომ ჩამოხმეს იმ სკამისაკენ ვერ მიახლდებთ.

Ა. ᲮᲣᲐᲣᲐ.

ᲡᲚᲐᲛᲘ ᲒᲐᲜᲐ ᲤᲣᲤᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲘᲐ?

ᲣᲣᲠᲘ ᲓᲐᲣᲒᲚᲔᲗ, ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ

ᲘᲚᲤᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲘᲡ ცნობილი რომანის გმირებიც არ დაეძებდნენ ისე თავგამოდებით ბრილიანტებიან სკამს, როგორც დღეს მომხმარებლები დაეძებენ ჩვეულებრივ სკამებს. დაეძებენ მაღაზიიდან —მაღაზიაში, ქალაქიდან — ქალაქში. მაგრამ ამაოდ. ერთ-ორ კაცს თუ გაუღიმებს ბედი და მოწყალების თვალით გადმოხედავს მაღაზიის რომელიმე ნაცნობი გამყიდველი, რომ ექვსი სკამის პატრონი გახადოს.

სკამი არც ფუფუნების საგანია და არც თავის გამოსაჩენი ნივთი. მაგრამ უსკამობამ შეიძლება მწარე სირცხვილი გაჭამოს. სკამი პრობლემად იქცა. მოთხოვნილება ძალიან დიდია, განსაკუთრებით გრეხილ სკამებზე. ამ უკანასკნელ დროამდე ასეთ სკამებს მხოლოდ მარელისის ავეჯის ფაბრიკაში ამზადებდნენ.

და აი მომხმარებლებმა სიხარულით შეიტყეს, რომ გრეხილი სკამების დამზადებას შეუდგნენ თბილისშიც. ნავთლუღში, ახლად გაშენებული მოსკოვის პროსპექტის ბოლოს პირველ აგვისტოს საექსპლოატაციოდ გადაეცა შვიდწლედის პირმშო — თბილისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკა. აგვისტოში თბილისელმა მეავეჯეებმა 4.000 სკამი გამოუშვეს. ეს არის ᲓᲛ 113-232 არტიკულის ორმოცდაათ მანეთად ღირებული სკამი ნალისებური საჯდომით, გაძლიერებული ქვემო ჯამირებით.

ამჟამად ფაბრიკის საწარმოო კორპუსებში ხალვათობაა. ამ თავისუფალ ადგილს მალე მანქანადანადგარები დაიკავებენ. ფაბრიკა აღიჭურვება საავეჯო საწარმოსათვის საჭირო უახლესი მაღალი წარმადობის მოწყობილობით. კოსნოდარის კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანაში თბილისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკისათვის ამზადებენ ასაწყობ კონვეიერს, რომელიც დაახლოებით სამჯერ გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას. ახლა ფაბრიკაში 50 გამკრიალებელი მუშაობს, გასაკრიალებელი კონვეიერის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ კი ამ უბანზე მხოლოდ 8 კაცი იმუშავებს. დღეისათვის საწარმოში მთლიანად მექანიზებულია მხოლოდ დეტალების დამრგვალების და მოლუნვის პროცესი.

მეავეჯეობას ერთი ხელის დაკვრით ვერ ისწავლი. ვიდრე ერთ ტაბურეტს გამოჭორკნიდე, შეიძლება ასის ასალა ვააფუჭო. მაგრამ თუ თავზე კარგი ოსტატი გადგას, ამ მარცხს ასცდები. თბილისელმა მეავეჯეებმაც ასე იფიქრეს და დახმარებისათვის მარელისელ კოლეგებს მიმართეს.

ᲛᲐᲠᲔᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ დახმარებას აბა როგორ დაზარდებოდნენ! ახალ ფაბრიკაში მთელი ოჯახით გადმოვიდა სამუშაოდ მოწონავე მხეხავი ნინა შველიძე. ვაჟიშვილი ჯემალი მღუნავად მუშაობს, ქალიშვილები თინა და ეთერი გამკრიალებლები არიან. ახალბედა მეავეჯეებს დიდი მონდომებით გადასცემენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას მარელისელი ოსტატები ფაბრიკის მთავარი მექანიკოსი ვალერიან ტორაძე, მღარავი ჯემალ ჩხეიძე, გამკრიალებლები მარგარიტა წულუკიძე, მწნეხავი ზაირა ყიფიანი, ამწყობი შოთა დევდარიანი.

კარგ ოსტატებს შეგირდებიც ღირსეული ჰყავთ. მღუნავმა ბ. ბურდულმა, მხეხავებმა მ. ციბალოვამ, მ. ნატრაძემ, მ. ბეღელურმა, ამწყობებმა ვ. ვეფხვაძემ, გ. ჭიკაძემ, ლ. დათუაშვილმა, ვ. მაჯანოვმა ისე გაიწაფეს ხელი, რომ გამოცდილ ოსტატებსაც ალაპარაკებენ.

— მათ ხელში წვრილად დახერხილი ფიცრის ნაჭრები სწრაფად იღებს სასურველ ფორმებს. ფიცრის ნაჭრებს ჯერ სახარშავ ქვაბში აწყობენ, მერე აშრობენ, ამრგვალებენ, ღუნავენ.

საწარმო ჯერ ნაწილობრივ არის საექსპლოატაციოდ გადაცემული. სრული სიმძლავრით ამუშავების შემდეგ ფაბრიკაში წლიურად 400 ათას სკამს დაამზადებენ; ეს მეტად მნიშვნელოვანია სკამებზე მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის.

— ჩვენ პროდუქციასაც გუშვებთ და კიდევაც ვსწავლობთ, ხვალინდელი დღისთვის ვემზადებით, — ამბობს ფაბრიკის დირექტორი ვასილ გოგოლაძე, — ხვალინდელი დღე კი ბევრად გაზრდილ მოთხოვნილებას გვიყენებს. თუ მაქსიმალურად გამოვიყენებთ რეზერვებს, შეგვიძლია წელიწადში დაკმაყოფილდთ დაახლოებით ნახევარი მილიონი სკამი, და ეს ურდა ვაკაკეთოთ. გათვალისწინებული გვაქვს გავაფართოოთ პროდუქციის ასორტიმენტი. მომავალი წლიდან გამოვუშვებთ ნახევრად რბილ და რბილ სავარძლებს, სხქანელებს, ტანსაცმლის საკიდებს, ბავშვის სკამებსა და მაგიდებს.

გამართულ და ნაყოფიერ მუშაობაში ფაბრიკის კოლექტივს მთელი რიგი მიზეზები უშლის ხელს. დაგიწყოთ შედარებით უმნიშვნელოდან: საწარმო მოწყვეტილია სატელეფონო კავშირის.

ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ უწყვეტენ წყალს. საწარმო არადამაკმაყოფილებლად მარაგდება დამხმარე მასალებითაც.

და, ბოლოს, ერთი მიზეზიც. რომელიც შეიძლება საბედისწ

მსოფლიოს უბრალო ადამიანთა სურვილი, იმედი

უცხოეთის პრესის გამოხმაურება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე ნ. ს. ხრუშჩოვის გამგზავრების გამო

★

მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა, ყველა კეთილი ნების ადამიანი მშვიდობის მგზავრობას უსურვებენ მშვიდობის ხომალდ „ბალტიკას“.

ჩეხოსლოვაკიის გაზეთების ფურცლებზე უბრალო ადამიანები მოუწოდებენ დასავლეთის სახელმწიფოებს გონივრულად და პასუხისმგებლობით მიუდგენენ საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ საბჭოთა წინადადებების განხილვას. კლადნოს მუშა ფრანტიშეკ ნედვედი, მიესალმება რა ასამბლეაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვისა და ბევრი სხვა სახელმწიფოს ხელმძღვანელთა გამგზავრებას, აცხადებს: ჩვენ ეს მოგვაჩნია განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან ინიციატივად, რომელიც აიძულებს დასავლეთის სახელმწიფოებს გამოთქვან თავიანთი დამოკიდებულება მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხისადმი. მშრომელთა ბევრი კოლექტივი და ცალკეული პირები მოუწოდებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დადებითად გადაჭრან თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი საკითხი — განიარაღება.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამგზავრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე კვლავ საზღვარგარეთული პრესის ყურადღების ცენტრშია. „ხრუშჩოვს, — წერს სარედაქციო სტატიაში ინგლისის გაზეთი „ტაიმსი“, — კვლავ საკუთარ ხელში უპყრია ინიციატივა“. ჯერ კიდევ ნიუიორკს ჩასვლამდე, აცხადებს „ტაიმსი“, „ხრუშჩოვმა უკვე მიაღწია რაღაცას“. კერძოდ, გაზეთის აზრით, ნ. ს. ხრუშჩოვის გამგზავრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიაზე „ავტომატურად განამტკიცებს მის არაერთგზის წინადადებებს იმის შესახებ, რომ მთავრობათა მეთაურების მომავალი თათბირები უნდა გაფართოვდეს, რომ თათბირებში მონაწილეობა მიიღონ აფრიკისა და აზიის ქვეყნების მთავრობათა მეთაურებმა“. გაზეთი შეშფოთებით აღიარებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ხრუშჩოვის ყოფნა უკვალოდ არ ჩაივლის“ და მოუწოდებს დასავლეთის სახელმწიფოთა მეთაურებს „მზად იყვნენ უშუალო მოლაპარაკებისათვის“ საბჭოთა მთავრობის მეთაურთან.

ინგლისის მეორე გაზეთი „დეილი მეილი“ მოუწოდებს მაკმილანსა და ეიზენჰაუერს შეიგნონ ის ფაქტი, რომ „ამერიდან დასავლეთი დგას იმ შესაძლებლობის წინაშე, რომ მტრულად მოეპყროს მას გენერალური ასამბლეა, სადაც კომუნისტური ბლოკის გავლენა ამჟამად უფრო დიდია, ვიდრე ოდესმე“. გაზეთი მოუწოდებს დასავლეთს შესაბამისი დასკვნები გამოიტანოს აქედან, „სახელდობრ: გაუდიდოს დახმარება სუსტად განვითარებულ ქვეყნებს“, რათა გახადოს ისინი „ნაკლებად რევოლუციური“. ინგლისის მთავრობა, წერენ „დეილი ტელეგრაფი“ და „დეილი ექსპრესი“ კვლავ გაფაციცებით სწავლობს იმ საკითხს, წავიდეს თუ არა პრემიერ-მინისტრი მაკმილანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე.

გაზეთი „დეილი უორკერი“ სარედაქციო სტატიაში ხაზს უსვამს, რომ მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაური და ბევრი სხვა ქვეყნის მთავრობათა მეთაურები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე მიემგზავრებიან, რათა მიაღწიონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ნატოს ქვეყნები „ინიციატივას“ იჩენენ სხვა მიმართულებით, შეუფარდეს რა სესიის მუშაობის დაწყებას ნატოს შეიარაღებული ძალების დიდი მანევრები საბჭოთა კავშირის საზღვრების ახლოს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიას წელს განსაკუთრებით დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭება, ხაზს უსვამს ბერლინელის გაზეთი „ავგი“. საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო ინიციატივის მეოხებით გენერალური ასამბლეის სესიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ბევრი ქვეყნის მთავრობათა მეთაურები. მათი მონაწილეობა შესაძლებელს გახდის, რომ სერიოზულად განიხილონ ბევრი საერთაშორისო პრობლემა და მიიღონ გადაწყვეტილებანი, რომელთა მეოხებით შეიძლება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახალგაზელი სესია შემობრუნების პუნქტი გახდეს საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებაში და ახალი პერიოდის დასაწყისი „ცივი ომის“ შეწყვეტაში... დასავლეთმა, აღნიშნავს გაზეთი, უნდა გამოიჩინოს გაგება და კონსტრუქციული თანამშრომლობის სურვილი.

ინდოელი ჟურნალისტი იგბალ სინგჰი ეხება დასავლეთის სახელმწიფოთა გამოხმაურებას ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადების გამო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მთავრობათა მეთაურებისადმი, რომ სათავეში ჩაუდგნენ თავიანთ დელეგაციებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე, და წერს გაზეთ „ნეიშნლ ჰერალდში“: „ეს ძირითადად უარყოფითი რეაქცია არსებითად ასახავს დასავლეთის გულგრილ დამოკიდებულებას საერთაშორისო პოლიტიკის გადაუდებელი პრობლემებისადმი, რადგან, მას რომ შესწევდეს უნარი შემოქმედებითად „ან უკიდურეს შემთხვევაში მიუკერძებლად მოეკიდოს ამ პრობლემებს, დაინახავდა, რომ ხრუშჩოვის ინიციატივა შესაძლებლობას ქმნის მთელი რიგი მიმართულებით“. (საკდესი).

ამერიკის შეერთებულ შტატებში წინასაარჩევნო კამპანია მთელი ძალით გაჩაღდა. ამა თუ იმ კანდიდატის მომხრენი ცდილობენ დაეხმარონ მათ რითაც შეუძლიათ. ამ სურათზე, რომელიც „ოფიციალურია“ მექსიკურ ჟურნალ „ტემპოდან“, თქვენ ხედავთ ნიქსონის-თაყვანისმცემელ ამერიკელ ქალს. მას პრეზიდენტობის კანდიდატის პორტრეტი ყველაზე „გამოსაჩენ ადგილზე“ მიუკრავს წარწერით — „ემხრობი ნიქსონს“.

ზეიმი ბერლინში, სჯალინშჯადჯში

ბერლინი, 13 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ულბრიხტმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ოტო გროტვოლმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარემ ი. დიკმანმა, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ ე. კორნერსმა დარბაზობა გამართეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში უცხოეთის დელეგაციათა ყოფნის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციის წევრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, სხვა სოციალისტური ქვეყნების მთავრობათა დელეგაციები, მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც ჩამოვიდნენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პრეზიდენტ ვილჰელმ პიკის დაკრძალვაზე.

სტუმართა შორის იყვნენ უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები და თანამშრომლები, აგრეთვე გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის მთავარსარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ი. ი. იაკუბოვსკი.

დარბაზობაზე სიტყვა წარმოთქვა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა ე. კორნერსმა, რომელიც მიესალმა სტუმრებს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, სახალხო პალატის პრეზიდიუმისა და ეროვნული ფრონტის სახელით.

შემდეგ გამოვიდა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი. მან ხაზი გაუსვა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს შექმნის შესახებ კანონის მიღება სახალხო პალატის მიერ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აქტია, რომელიც მიუმობს სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპების შემდგომ განვითარებას.

ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის აყვავების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მეგობრობის, ერთიანობისა და შეკავშირების, მთელი მსოფლიოს მშვიდობის სადღეგრძელო.

საზეიმო დარბაზობაზე სიტყვები წარმოთქვეს ბევრი ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებმა.

სტალინშტადტი, 13 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. ტიუპაევი იუწყება:

დღეს სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, გაემგზავრა ქალაქ სტალინშტადტს, რომელიც მდებარეობს ოდერის ფრანკფურტის ოლქში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრის ახლოს. დელეგაციას მგზავრობის დროს ახლდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი კ. მარონი.

სტალინშტადტი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი სოციალისტური ქალაქი, რომლის ათი წლისთავი ამას წინათ აღნიშნა მთელმა გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, პირდაპირ უდაბურ ადგილს წარმოიშვა. ახლა აქ აღმართულია მრავალსართულიანი სახლები, სკოლები, მაღაზიები, სამკურნალო და სპორტული დაწესებულებათა შენობები. ქალაქი კვლავ იზრდება. სტალინშტადტის ახალგაზრდობის ქალაქია. მის მცხოვრებთა საშუალო ასაკია 27 წელი.

სტალინშტადტის მშრომელთა სიამაყეა მეტალურგიული კომბინატი, სადაც ამ-ჟამად 6 ბრძმედი მუშაობს. მაშინ თუჯის წარმოებამ კომბინატში 1.100 ათას ტონაზე მეტი შეადგინა. მოკლე ვადაში აქ გამრავალფეროვნებულ მეტალურგთა შესანიშნავი კადრები. ქალაქში შექმნილია აგრეთვე ცემენტის ქარხანა, თბოელექტროცენტრალი, ხორცკომბინატი, სამშენებლო საწარმოები.

დაახლოებით ერთ შუადღისას საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ავტომანქანები მივიდა შენობასთან, სადაც ქალაქის დაწესებულებებია, ლ. ი. ბრეჟნევს, მ. ი. პერეგუდინსა და დ. თ. უსტინოვს გულთბილად მიესალმა სტალინშტადტის ობერ-ბურგმისტრი მაქს რიხტერი, რომელმაც გააცნო მათ ქალაქის შექმნის ისტორია, მომავლის გეგმები.

ლ. ი. ბრეჟნევმა და დელეგაციის სხვა წევრებმა მეტი წილი დრო მოახმარეს მეტალურგიული კომბინატის გაცნობას. ერთ-ერთ ბრძმედთან, რომელსაც გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სახელი ჰქვია, საბჭოთა სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით რუსულ ენაზე მიმართა ბრძმედის უფროსის მოადგილემ ინჟინერმა ბ. შნაიდერმა, რომელსაც უმაღლესი მეტალურგიული განათლება დნეპროპეტროვსკში მიუღია.

კომბინატში ყოფნის დროს ამხანაგი ლ. ი ბრეჟნევი და დელეგაციის წევრები მეგობრულად ესაუბრნენ მუშებს, კომბინატის წარმოებისა და ეკონომიკის საკითხებზე, გაეცნენ მუშათა ცხოვრების პირობებს.

საწარმოს დათვალიერების შემდეგ გაიმართა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრთა ამხანაგური საუბარი ქალაქის ხელისუფალთა და მეტალურგიული კომბინატის დირექციის წარმომადგენლებთან. მიმართა რა სტუმრებს, კომბინატის დირექტორის მოადგილემ კ. გ. ციგერმა აღნიშნა, თუ რა დიდი დახმარება გაუწიეს საბჭოთა ადამიანებმა მეტალურგიული კომბინატის შექმნის დროს. მან ხაზი გაუსვა, რომ ეს საწარმო გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სიმტკიცის თვალსაჩინო განსახიერებაა.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მოკლე სიტყვაში მადლობა გადაიხადა მიღებისათვის, რომელიც დელეგაციას მოუწყეს და ქალაქის, მოსახლეობისა და კომბინატის მშრომელებს ყოველი სიკეთე უსურვა საბჭოთა ადამიანების სახელით. მან განაცხადა, რომ საბჭოთა ადამიანებმა ყოველ ღონეს იხმარენ, რათა სამარადისო იყოს მეგობრობა, რომელიც აკავშირებს საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ლ. ი. ბრეჟნევმა დიდი წარმატებანი უსურვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს სოციალიზმის მშენებლობაში.

კომბინატში ყოფნის სახსოვრად დელეგაციის წევრებს საჩუქრები უძღვნეს. ამის შემდეგ დელეგაციამ ავტომობილით მოიარა ქალაქი.

ჩაიფუშა ლუმუმგას დაპატიმრების ცდა

პარიზი, 13 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ იმპერიალისტურმა ძალებმა კონგოში თავიანთი აგენტების — კასავუბუს და მის მიერ უკანონოდ დანიშნული „პრემიერ-მინისტრის“ ილეოს დახმარებით მოახდინეს ავანტიურისტული ცდა დაეპატიმრებინათ კონგოს მთავრობის მეთაური პატრის ლუმუმბა. კასავუბუს სანქციით დაპატიმრების ორდერს ხელი მოაწერა ბელგიელმა „გენერალურმა პროკურორმა“ კონგოში.

საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, რომ პრემიერ-მინისტრი დაპატიმრეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების თვალწინ, რომელთაც არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ ამ აღმაშფოთებელი უკანონობისათვის.

პრემიერ-მინისტრი გაათავისუფლეს ეროვნული შეიარაღებული ძალების ჯარისკაცებმა დაპატიმრების რამდენიმე საათის შემდეგ. ლეოპოლდვილში ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტისათვის ტელეფონით მიცემულ ინტერვიუში პატრის ლუმუმბამ ილაპარაკა, თუ როგორ ჩაიფუშა კასავუბუ-ილეოს ხროვის ეს თავხედური პროვოკაცია.

„15 საათი და 30 წუთი იყო, — თქვა ლუმუმბამ, — ჩემს რეზიდენციაში ვიყავი, სადაც წყნარად ვმუშაობდი. ამ მომენტში ჩემთან მოვიდა ჯარისკაცთა ჯგუფი... მათ ჰქონდათ დაპატიმრების ბრძანება, რომელსაც ხელს აწერდა გენერალური პროკურორი. მე დამპატიმრეს. მივხვდი, რომ მოტყუებულმა სამხედროებმა ბევრი ფული მიიღეს, მაგრამ არმია ჩემი ერთგული დარჩა“.

როცა ლუმუმბამ ჰკითხა ჯარისკაცებს დაპატიმრების მიზეზი, ჯარისკაცებმა გაიცინეს:

თუ თქვენ არ იცით, რას გაბრალებენ, პროკურორს დავაპატიმრებთ“. „მაშინ,— განაგრძო ლუმუმბამ, — მათ ვუთხარი: „წადიდეთ ლეოპოლდის ბანაკში“.

„ლეოპოლდის ბანაკში საერთო აღშფოთება დაიწყო, ჯარისკაცები ყვიროდნენ: „უნდა დავაპატიმროთ კასავუბუ, რომელიც ყოველივე ამის მიზეზია. იგი უნდა დავაპატიმროთ დაუყოვნებლივ, ისევე როგორც გენერალური პროკურორი“. გირჩევთ ნუ იზამთ ამას — ვუთხარი მე. დიე სხვებმა აკეთონ შეცდომები. კანონი ჩვენს მხარეზეა“.

„ქალაქში აღშფოთება დაიწყო, — განაგრძო ლუმუმბამ. — ადამიანთა ჯგუფები გარბოდნენ მაკალისაკენ, რათა საპყრობილე დაენგრიათ. ჯიბიდან რეპროდუქტორით ვუთხარი მოსახლეობას, განთავისუფლებული ვარ არმიის მეოხებით და ყველამ უნდა დაიცვას სიმშვიდე, რადგან არმია ჩემთან არის მეთქი. ყველამ ტაში დაუკრა, იმეორებდნენ სიტყვა „თავისუფლებას“.

„რადიოსადგურში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარისკაცებს წავაყენეთ, — განაგრძო ლუმუმბამ. — არ მინდოდა შეიარაღებული ინციდენტი გამომეწვია... ეთხოვე ამ ადამიანებს ნება მოეცათ მომეწოდებინა მოსახლეობისთვის სიმშვიდე დაეცვა. გავგზავნე გენერალი მბოლო, რათა კონტაქტი დამყარებინა მთავარსარდალთან და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურ წარმომადგენელთან“.

„არის იმის საშიშროება, რომ სისხლისმღვრელი შეტაკებანი გამოვიწვიოთ გაერთიანებული ეროვნის ორგანიზაციის ჯარისკაცებთან“, — განმიცხადა ერთმა ირლანდიელმა, რომელიც „რადიოსადგურს იცავდა, მე ვუპასუხე, რომ მოვედი, რათა მოვეწოდო ხალხს და დავაშოშმინო და არ დავუშვა სეროიზული უსიამოვნება. მოვედი,“ — ვუთხარი მას, — რადგან მინდა რომ ყველაფერი მშვიდად იყოს. შემდეგ ვთხოვე ნება მოეცა დამერეკა სპეციალური წარმომადგენლისათვის. დაველოდე რამდენიმე წუთს, მაგრამ ის არ დაბრუნებულა“. „არასოდეს არ გამიკვლევია რადიოსადგურის ბაბა ძალით, თქვა პრემიერ-მინისტრმა დასასრულ... მაგრამ შემეძლო წამეყვანა ასი კაცი და დამეკავებინა რადიოსადგური. მაშინ მოკლულნიც იქნებოდნენ. მინდა თავიდან ავიცილო ყოველგვარი სისხლისღვრა, ყოველგვარი ინცინდენტი და ორჯერ დავბრუნდი. თუ გადავწყვიტე მესამედ ვცადო ეს, ყველამ იცოდეს, რომ ინციდენტებისთვის პასუხისმგებელი არა ვართ“.

ნიუ-იორკი, 13 სექტემბერი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, დღეს კონგოს მთავრობის ჯარებმა კონტროლი დაუწესეს ლეოპოლდვილის რადიოსადგურზე.

პ. ლუმუმბას წერილი

პარიზი, 13 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, კონგოს პრემიერ-მინისტრმა პატრის ლუმუმბამ აფრისა და აფრიკის ქვეყნების დელეგატებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაუგზავნა წერილი, რომლითაც სთხოვს დახმარება გაუწიონ კონგოს, გაუგზავნონ 20 თვითმფრინავი ეკიპაჟებიანად, იარაღი და საომარი მასალები და მძლავრი რადიოგადამცემი.

„გათვალისწინა რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არა სურს დაეხმაროს მთავრობას კანონიერება და სიმშვიდე აღადგინოს ქვეყანაში, — ნათქვამია წერილში, — კონგოს მთავრობამ ცნო, რომ იძულებულია ითხოვოს ეს დახმარება. თუ ამ დახმარებაზე უარი გვითხრეს, მთავრობა იძულებული იქნება სხვაგან ითხოვოს ეს დახმარება“.

წერილის პირი გაეგზავნა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

ტელეგრაფი გვატყობინებს

კუბის მთავრობის ახალი ნაბიჯი

კუბის შრომის სამინისტრომ თავისი კონტროლი დაწესა ჰავანის ამერიკელების კუთვნილი დიდი რადიო-სატელევიზიო კომპანიის „სმკ“-ისა და მასთან დაკავშირებული რადიოსადგურის „რადიო რელოხისადმი“.

ეს ღონისძიება იმით არის გამოწვეული, რომ „სმკ“-ის და „რადიო რელოხის“ მფლობელები არღვევდნენ კუბის შრომის კანონმდებლობას და ახორციელებდნენ მოქმედებას, რომელიც ქმნიდა ამ კომპანიისა და რადიოსადგურის დახურვის საფრთხეს.

ამერიკელებმა გაუშვეს თანამგზავრი

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, 13 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში ვანდენბერგის ავიაბაზიდან (კალიფორნიის შტატი) გაუშვეს თანამგზავრი დისკავერერი - XV“. 14 სექტემბერს დილით მიღებული ცნობების თანახმად, თანამგზავრი გავიდა ორბიტაზე. გაშვების მიზანია გაუმჯობესდეს კოსმოხური სივრციდან კავშულის დაბრუნების ტექნიკა. მაგრამ, როგორც ასოშიეიტედ პრესი აღნიშნავს, გაშვებულ კონტეინერში არ არის არავითარი ცოცხალი ორგანიზმი.

ახალი მარცხი

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო კანავერალის კონცხიდან იუწყება, რომ 13 სექტემბერს ბალისტიკური ყუმბარა „პოლარისი“, რომელიც წყალქვეშა ნავიდან გაუშვეს ატლანტის ოკეანეში, ამოვარდა კონტროლიდან და წყალში ჩავარდა. როცა რაკეტა წყლის ზედაპირზე დავარდა, ნათქვამია ცნობაში, იგი, როგორც ჩანს, დაიშალა და მისი ნამხხვრევები ოკეანეში ჩაიძირა.

სამხედრო-საზღვაო ხელისუფლებმა ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ „პირველი საფეხურის ყუმბარის მუშაობაში უწესივრობის შედეგად ჩაიშალა „პოლარისის“ საცდელი გაშვება წყალქვეშა ნავიდან“.

ეს არ სურს იაპონელ ხალხს

ვაშინგტონი, 13 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი **გ. შიშკინი** იუწყება: გუშინ აქ გამოქვეყნდა ამერიკა-იაპონიის ერთობლივი განცხადება იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრ კოსაკას შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ჰერტერთან მოლაპარაკების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეგრეთწოდებულმა ურთიერთ უშიშროების ხელშეკრულებამ, რომელიც შეერთებულმა შტატებმა თავს მოახვიეს იაპონიას, იაპონელი ხალხის საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი და შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი, როგორც ნათქვამია განცხადებაში, „შეთანხმდნენ იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას ორ ქვეყანას შორის მათი ახალი ხელშეკრულების ფარგლებში ურთიერთ თანამშრომლობისა და უშიშროების შესახებ“.

განცხადებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ მინისტრებმა ერთმანეთს გაუზიარეს შეხედულებანი იმ სხვადასხვა პრობლემის შესახებ, რომლებიც დგას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის წინაშე. „რაც შეეხება განიარაღების და ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის პრობლემას, — ნათქვამია განცხადებაში, — მათ დაადასტურეს, რომ საჭიროა მალე განახლდეს მოლაპარაკება საერთო განიარაღების შესახებ, აგრეთვე საჭიროა მალე დაიდოს შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, რომელიც გაითვალისწინებს ეფექტიან საერთაშორისო კონტროლს“.

ამერიკა-იაპონიის მოლაპარაკების მონაწილეებმა მოკლედ აღნიშნეს თავიანთ განცხადებაში, რომ მათ გაუზიარეს ერთმანეთს აზრი აზიის სხვადასხვა პრობლემის შესახებ და შეთანხმდნენ იმაზე, რომ სასარგებლოა დაიცვან მჭიდრო კონტაქტი და მოაწყონ კონსულტაცია საკითხებზე, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენს ამ რაიონში. განცხადებაში არაფერია ნათქვამი ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. მაგრამ, უპასუხა რა კორესპონდენტების „კითხვებში პრეს-კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კოსაკამ დაადასტურა, რომ ამ საკითხს მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო. კოსაკამ, კერძოდ, მხარი დაუჭირა იაპონიისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ვაჭრობის განვითარებას, ამასთან ხაზი გაუსვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელეგრაფიულ სიახლოვეს იაპონიასთან. მან თქვა, რომ იაპონიაში არსებული მესწრაფება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ვაჭრობის განვითარებისადმი ბუნებრივია. ერთ-ერთი კორესპონდენტის კითხვაზე, ეწინააღმდეგება თუ არა სახელმწიფო დეპარტამენტი იაპონიის მისწრაფებას ივაჭროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, კოსაკამ უარი თქვა არსებითად გაეცა პასუხი, დამატება რა ის, რომ იაპონიაში არავითარი კონკრეტული ღონისძიება არ განხორციელებულა ამ მიმართულებით. კოსაკამ გასაგები გახადა კორესპონდენტებისათვის, რომ იაპონიასა და შეერთებულ შტატებს შორის უთანხმოებაა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ პოლიტიკის საკითხში და რომ ეს უთანხმოება არ გადაულახავთ ვაშინგტონში გამართული მოლაპარაკების დროს.

ბაასუქმონ თვითნებური შეზღუდვები

ბონი, 13 სექტემბერი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ ბონის ბუნდესტაგმა უნდა განიხილოს დასავლეთ გერმანიის მთავრობის 1961 წლის ბიუჯეტის პროექტი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ თავის ბიუჯეტში ჩამოაყალიბა 1962 წლის 31 მარტამდე ბუნდესვერის შემდგომი გაფართოების ორგანიზაციული პრინციპები. როგორც გაზეთი „ფრანკ-ფურტერ ალგემაინე“ იუწყება, იმ დროისათვის დასავლეთ გერმანიის საჰმელეთო ჯარების მობილურ შენაერთებსა და სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საომრად გამზადებულ შენაერთებში უნდა იყოს 355 ათასი კაცი.

ამჟამად ნატოს ექვემდებარება ბუნდესვერის შვიდი დივიზია. მალე ნატოს განკარგულებაში გადაიცემა აგრეთვე საჰაერო სადესანტო დივიზიის ორი ბრიგადა. უახლოეს ხანში დამთავრდება კიდევ ბუნდესვერის ოთხი დივიზიის შედგენა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ნატოს განკარგულებაში გადასცეს სატრანსპორტო თვითმფრინავების ესკადრილია, გამანადგურებელ-ბომბდამშენთა ოთხი ესკადრილია და ავიაგამანადგურებელთა ერთი ესკადრილია.

ყასემის ინტერვიუ

ბაღდადი, 13 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „ას-სავრა“ აქვეყნებს ერაყის პრემიერ-მინისტრ ყასემის ინტერვიუს.

შეეხო რა იმპერიალიზმის ხრიკებსა და შეთქმულებებს ერაყის რესპუბლიკის წინააღმდეგ, პრემიერ-მინისტრმა ყასემმა, კერძოდ, განაცხადა: „იმპერიალიზმი კვლავ გზავნის აქ (ერაყში. —რედ. შენიშ.) თავის ჯაშუშებსა, და აგენტებს, ხარჯავს დიდ თანხებს, რათა შექმნას შფოთისა და განგაშის ვითარება. მაგრამ ამჯერადაც მარცხი მოუვა იმპერიალიზმს. ჩვენ ფხიზელი ვართ და ვიცით მისი მოქმედება... აგრესიის აქტებით და ინციდენტებით მათ სურთ გააჩანაგონ ჩვენი შეგნება, მაგრამ „ვერავითარი ძალა ვერ გატეხს ჩვენს რესპუბლიკურ რეჟიმს“.

იზომებს...

ნახატი ინგლისურ გაზეთ „დეილი ექსპრესიდან“.

ბილიტარიზმის გზაზე

არა, ეს არ სურს იაპონელ ხალხს

ვაშინგტონი, 13 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი **გ. შიშკინი** იუწყება: გუშინ აქ გამოქვეყნდა ამერიკა-იაპონიის ერთობლივი განცხადება იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრ კოსაკას შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ჰერტერთან მოლაპარაკების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეგრეთწოდებულმა ურთიერთ უშიშროების ხელშეკრულებამ, რომელიც შეერთებულმა შტატებმა თავს მოახვიეს იაპონიას, იაპონელი ხალხის საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი და შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი, როგორც ნათქვამია განცხადებაში, „შეთანხმდნენ იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას ორ ქვეყანას შორის მათი ახალი ხელშეკრულების ფარგლებში ურთიერთ თანამშრომლობისა და უშიშროების შესახებ“.

განცხადებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ მინისტრებმა ერთმანეთს გაუზიარეს შეხედულებანი იმ სხვადასხვა პრობლემის შესახებ, რომლებიც დგას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის წინაშე. „რაც შეეხება განიარაღების და ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის პრობლემას, — ნათქვამია განცხადებაში, — მათ დაადასტურეს, რომ საჭიროა მალე განახლდეს მოლაპარაკება საერთო განიარაღების შესახებ, აგრეთვე საჭიროა მალე დაიდოს შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, რომელიც გაითვალისწინებს ეფექტიან საერთაშორისო კონტროლს“.

ამერიკა-იაპონიის მოლაპარაკების მონაწილეებმა მოკლედ აღნიშნეს თავიანთ განცხადებაში, რომ მათ გაუზიარეს ერთმანეთს აზრი აზიის სხვადასხვა პრობლემის შესახებ და შეთანხმდნენ იმაზე, რომ სასარგებლოა დაიცვან მჭიდრო კონტაქტი და მოაწყონ კონსულტაცია საკითხებზე, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენს ამ რაიონში.

ვ ერაუს დედაქალაქის — ლიმის მცხოვრებლებმა მოაწყეს მასობრივი საპროტესტო მიტინგი ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტების აგრესიული შეთქმულების წინააღმდეგ, რომლებიც ისწრაფვიან წაართვან კუბელ ხალხს რევოლუციური მონაპოვარნი. მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს გზა გადაულობონ იმპერიალიზმს და ყოველნაირად დაუჭირონ მხარი რევოლუციურ მოძრაობას კუბაში.

სურათზე: მიტინგი ლიმის ქუჩებში.

ფოტო სინხუას სააგენტოსი.

ზღვა, სტიქია და მეთევზეები

იგი ნაპირზე იდგა, ცალი ფეხით დაყრდნობოდა თავდადმა დამხობილ სათევზაო ნავს. რაღაც აწუხებდა. ნერვიულად ეწეოდა პაპიროსს. ხან შორს აკვირდებოდა ზღვას, ხან კი თვალს გადაავლებდა მის გარშემო მდგომ მეთევზეებს.

უკვე მესამე დღეღამეს ბობოქრობდა შავი ზღვა. აქფებული ტალღები ერთმანეთის მოყოლებით გრიალით ასკდებოდნენ ნაპირს. თოლიები შეშფოთებული დაჭქროდნენ ცაში და კაოკ დარს როდი წინასწარმეტყველებდნენ.

ძველ დროს უკან შეფარებულნი, ღუზაზე იდგნენ საკოლმეურნეო სეინერები, მოტოფელუგები, კარაპები. უამინდობა ხელს უშლიდა მუშაობას. ნაპირზე გასაშრობად გაფენილი ბადეები გაწუწყვეტილი წვიმისაგან კიდევ უფრო დასველდა.

— ჩვენ რომ შეგვამჩნია, როგორღაც შეცრთა, ეტყობა — არ მოელოდა ჩვენს მისვლას. მაგრამ შემდეგ სწრაფად მობრუნდა და ხელი ჩამოგვართვა, სახეზე ღიმილმა გადაუარა. ამირან ქაროსანიძე გაგვეცნო, მეთევზეებიც გაგვაცნო და გვთხოვა იქვე ნაპირზე კარავთან ჩამოვმსხდარიყავით.

— რატომ ასე პირვეულობს ზღვა ამ აგვისტოს დღეებში, — თქვა მან. — მაისშიც ასე იყო. მახსოვს, მაშინ გუდაუთის რაიონში მძვინვარე ქარიშხალი ამოვარდა. უკრაინელი მეთევზეები იმ დროს ჩვენთან ერთად იმყოფნენ თევზს საქართველოს ნაპირებთან. ქარიშხალში რომ მოჰყვებოდნენ, სეინერების კაპიტნებს ნაპირიდან შორს მიჰყავდათ თავიანთი გემები. თევზის მისაღებ პუნქტთან ოჩამჩირეში კოლმეურნეობა „ჩერვონა უკრაინას“, გემი იდგა. ქარმა იგი მისაბმელს მოგლიჯა და ზღვაში გაიტაცა, შემდეგ მეჩიჩზე გადაადგა. მას მიეშველა უკრაინის სეინერი: მაგრამ უზარმაზარმა ტალღებმა იგი წყალქვეშა კლდეს დაანარცხეს. ფსკერი შეიმტვრა და გემმა ნელნელა იწყო ჩაძირვა. ჩვენი კოლმეურნეობის სეინერმა რადიოთი ძიძიო განგაშის ნიშანი და მიეშველა უკრაინელ კოლმეურნეებს.

ქართველი მეთევზეები დიდი რისკით მივიდნენ ხიფათში მყოფ გემთან და ყველა უკრაინელი ამხანაგი გადმოიყვანეს. მაგრამ ეს მხოლოდ ნახევარი საქმე იყო. საჭირო იყო ჩაძირვა არ დაგვნებებინა სეინერისათვის. სპეციალური გვარელი რამდენჯერმე გაწყდა, მაგრამ მაინც მოვახერხეთ გემის „დაბმა“. მეთევზეები გათენებამდე ებრძოლნენ სტიქიას და გვარლით აკავებდნენ დაზიანებულ გემს. დილით კი „გორდი“ მოვიდა და მაშველი სამუშაოები დაამთავრა.

ასე გადაარჩინა თორმეტმა ქართველმა კოლმეურნე მეთევზემ უკრაინელი მეთევზეები. — დიახ, ერთმანეთის შველა მეთევზის წმიდა მოვალეობაა, — დაამთავრა ამირანმა.

გვერდით მჯდომი მეთევზეები ელოდნენ, კიდევ რას იტყოდა. მაგრამ იგი დუმდა.

— არა უშავს რა, გული არ გაიტეხო, ამირან, — მხარზე ხელი დაჰკრა, თითქოს ამხნევებსო, ერთ-ერთმა უხუცესმა ბრიგადირმა ლენინდ ლენცმანმა, რომელიც კოლმეურნეობაში მუშაობს მისი ოცდაათი წლიდან.

— განა გულის გატეხაა საქმე, — ნიუგამ ამირანმა. — ახლა ჩვენთვის ძვირფასია ყოველი დღე: თევზი არის, მაშასადამე, საჭიროა მისი „ალება“. ჩვენ კი აქ ზღვასთან ვსხედვართ და ამინდს ველოდებით.

— „ან დაწყნარდება ზღვა და დავიჭერთ თევზს, სადაც უნდა იყოს, — უთხრა ლენინდმა. — ოცი რა, ამირან?

გუშინ გამგეობაში მოვიდა დეპეშა, რომელშიც წინადადებას იძლევიან მალე გაიგზავნოს ჩვენი კოლმეურნეობის ერთი გემი ღორჯოს საჭიროდ აზოვის ზღვაში. და, როგორც მე გავიგე, უნდათ იქ შენი სეინერი გაგზავნონ.

— რატომ ჩემი?

— როგორ თუ რატომ? მანქანა კარგი გაქვს, ბიჭები ჩინებული გყავს, ადგილიც შენთვის ნაცნობია. განა ერთხელ გიჭერია იქ თევზი?

— იცით, ახლა თავმდაბლობას იჩენს, — მოგვმართა ლენინდმა. — მახსოვს ძველი დრო. ჩვენს კოლმეურნეობაში მუშაობდა მეთევზე მთე ქაროსანიძე, ერთხელ ახალგაზრდა ბიჭი მოიყვანა, გაგვაცნო, ჩემი შვილიაო. ჰოდა, მივიღეთ ჩვენს კოლმეურნეობაში რიგით მეთევზედ. ამირანმა ენერგიულად მოჭკიდა საქმეს ხელი. რამდენიმე ხნის შემდეგ ბრიგადირის თანაშემწედ დანიშნეს. შემდეგ კი კოლმეურნეობის ბრიგადირიც გახდა. შემდეგ წავიდა ქალაქ ეისკში აზოვის ზღვაზე — გემების ტარების კურსებზე, კურსები რომ დაამთავრა, ამირანი მშობლიურ კოლმეურნეობაში დაბრუნდა და გამგეობამ მის გაწარგზავნებაში სეინერი გასცა. ახლა იგი სეინერზე კაპიტანიც არის და ბრიგადირიც. მის გარდა კოლმეურნეობაში სხვა კაპიტანი-ბრიგადირი არა გვყავს. ჩინებული მაჩვენებლები აქვს. წელს მისმა ბრიგადამ სახელმწიფოს 1.500 ცენტნერი თევზი მიჰყიდა. კიდევ მხედველობაში მიიღეთ, რომ პირველ კვარტალში მისი სეინერი გეგმიან რეჟიმზეა იყო. მან უკვე შეასრულა მესამე კვარტალის გეგმა. ბევრი რამ კი წინ არის — საშემოდგომო თევზჭერა. თევზი კიდევ იქნება...

— დიახ, რაღაც იქნება, — უპასუხა მას ქაროსანიძემ.

გვიანობამდე გაგრძელდა ჩვენი საუბარი. მეთევზე კოლმეურნეებმა გვიამბეს კოლმეურნეობასა და მის მოწინავე ადამიანებზე.

სოხუმში თევზჭერის კოლმეურნეობა რომ შეიქმნა, ეს კი თითქმის ოცდაათი წლის წინათ მოხდა, არტელს ექვსი ნიჩბიანი კარაპი ჰქონდა, ორი წლის შემდეგ კი პირველი კატარღა შეიძინა. როგორ შეიძლება წარსულს შეადარო ახლანდელი, როცა ზღვას საშუალო და მცირე სიდიდის სათევზაო სეინერები სერავენ. კოლმეურნეობას ახლა 67 გემი აქვს, რომლებსაც მომსახურებას უწევს თევზჭერის 18 ბრიგადა.

დიდი ხანია ისტორიის ჩაბარდა თევზის ჭერის ძველი მეთოდები. პირველხარისხოვანი ტექნიკით აღჭურვილი სარეწაო ფლოტის არსებობამ შესაძლებელი გახადა თევზის ჭერა მთელი წლის განმავლობაში. თვითეული სეინერი აღჭურვილია ულტრაბგერის ექოლოტით. ამ ხელსაწყოთ საშუალებით მეთევზეები პოულობენ თევზის გუნდებს. კოლმეურნეობას აქვს ახალი თევზსაჭერი იარაღები: დიდი, შვიდასი მეტრი სიგრძისა და ასი მეტრი სიმაღლის ბადეები.

მეთევზე კოლმეურნეებმა უკვე შეასრულეს მესამე კვარტალის გეგმა და 7.300 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს 7.800 ცენტნერი თევზი მიჰყიდეს.

შესანიშნავი ადამიანები ჰყავს კოლმეურნეობას. ესენი არიან სეინერის კაპიტანი ივანე რიაზანოვი, მეთევზეები ზაურ ტაბიძე, შალვა გახოკიძე, შოთა ბობოხიძე, ბოცმანი ვიქტორ პროსკუდინი და ბევრი სხვა.

შეიძენა ბევრი რამ ითქვას ამ ძველ კოლმეურნეობასა და მის მეთევზეებზე. ერთი რამ ცხადია — თვითეული კოლმეურნე მეთევზე, თვითეული მშრომელი ზღვაშია იგი თუ ნაპირზე, მუდამ ცდილობს რაც შეიძლება მეტი რამ გააკეთოს თავისი კოლმეურნეობისათვის, თავისი სამშობლოსათვის, რაც შეიძლება მეტი თევზი მისცეს ჩვენს ადამიანებს.

წვიმამ გადაიღო. რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ ჩავედი კოლმეურნეობაში მეთევზეებთან. მზე კაშკაშებდა და, თითქოს მას ემორჩილებაო, ზღვა ბრწყინავდა. კოლმეურნეობის შენობაში სიწყნარე იყო. მხოლოდ ზოგჯერ გაისმოდა საანგარიშოს ჩხაკუნი.

საღამოს კი ნაპირზე კვლავ შეეხვდით სახელგანთქმულ კაპიტან-ბრიგადირს ამირან ქაროსანიძეს, ამჯერად მას შეუუხებული გამომეტყველება როდღა ჰქონდა. კმაყოფილ უცქეროდა კონვეიერის ლენტს, რომლითაც სეინერიდან ნაკადად ამოდიოდა რამდენიმე საათის წინათ დაჭერილი თევზი.

ბინდდებოდა, კოლმეურნე მეთევზეებს რომ დავემშვიდობეთ. დაჭერილი თევზით მძიმედ დატვირთული გემები ზვიზილ მოდიოდნენ და დგებოდნენ თევზის ქარხნის ნავმისაბმელთან. აქ ნაპირზე გვიან ღამემდე გაისმოდა მეთევზეთა სიმღერა:

... ქვეყნად ყველაზე ლურჯია
ჩემი შავი ზღვა...

ვლ. გინზბურგი.

სოხუმის უბე.
სექტემბერი.

• • •

სურათებზე (ზემოდან ქვემოთ): კაპიტანი-ბრიგადირი ა. ქაროსანიძე; სეინერები გადიან თევზის საჭერად; კოლმეურნეობის მეთევზეები (მარცხნიდან მარჯვნივ): ლ. ლენცმანი, ზ. ტაბიძე, შ. ბობოხიძე, ი. რიაზანოვი, ნ. ბარტაშევიჩი.

ფოტო ავტორისა.

უცხოელი სტუმრები

15-27 სექტემბერს თბილისში გაიმართება ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოძრავი სემინარი დედათა და ბავშვთა დაცვის საკითხებზე. სემინარმა მუშაობა დაიწყო მოსკოვში და განაგრძო კიევში. იგი იწყობა ახლო და შუა აღმოსავლეთის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ექიმებისათვის.

გუშინ სემინარის მონაწილენი თვითმფრინავით ჩამოვიდნენ კიევიდან თბილისში. ჩამოსულთა შორის არიან სპეციალისტები არგენტინიდან, ავღანეთიდან, ბირმიდან, განიდან, ინდოეთიდან, ინდონეზიიდან, ერაყიდან, კამბოჯიდან, ლიბერიიდან, მოზამბიკიდან, ნიგერიიდან, პაკისტანიდან, სირიიდან, ტუნისიდან, ჩილიდან, იაპონიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ესენი ძირითადად არიან დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ხელმძღვანელები თავიანთ ქვეყნებში.

თბილისის აეროპორტში სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, საქართველოს დედაქალაქის სამედიცინო საზოგადოებრივობის წარმომადგენლები.

სემინარის დროს მისი მონაწილენი მოისმენენ ლექციებსა და მოხსენებებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის წარმატებებისა და გამოცდილების შესახებ, გაეცნობიან სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთა საქმიანობას, რომლებიც მედიცინის მეცნიერების დარგში მუშაობენ. თბილისის გარდა, სემინარის მონაწილენი ეწვევიან რუსთავს, მცხეთას, მახარაძეს, ქობულეთს, წყალტუბოს, სამტრედიას, სოხუმს. შემდეგ ისინი გაფრინდებიან ტაშკენტში, სადაც მუშაობას განაგრძობს მოძრავი სემინარი. (საქდესი).

იცით თქვენ ვის?

მგოსნის სიყვარულით...

სტალინელი

მთელი ქართველი ხალხი გულმოდგინედ ემზადება აკაკი წერეთლის დაბადების 120 წლისთავისათვის. ამ თარიღს ახლახან თავისებურად გამოეხმაურა ქუთაისის საქალაქო გაზეთი „სტალინელი“. აი შვიდი სექტემბრის ნომერი. მესამე გვერდზე დაბეჭდილია სამამულო ომში გმირულად დაღუპული მეომრის, ლეიტენანტ ნიკოლოზ კოპალიანის პოემა „ბედნიერ დღეთა მახარობელი“. ამ პოემის ისტორიაზე და მის ავტორზე შესაფალ წერილში კკითხულობთ:

„ამ პოემის ავტორი ნიკოლოზ დავითის-ძე კოპალიანი იმ ქართველი ახალგაზრდა პოეტების პლეადას ეკუთვნის, რომლებმაც დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შესწირეს თავიანთი სიცოცხლე.

1941 წლის გაზაფხულზე ნ. კოპალიანმა გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ რედაქციაში მოიტანა რაჭა-ლეჩხუმში აკაკის მოგზაურობისადმი მიძღვნილი ლირიკული პოემა „ბედნიერ დღეთა მახარობელი“ და თავაზიანად ითხოვა: თუ გამოდგეს, დამიბეჭდეთო.

ცაგერის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნ. კოპალიანი მაშინ ქუთაისში იმყოფებოდა. მისი ლექსები ხშირად იბეჭდებოდა რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში.

მალე დიდი სამამულო ომი დაიწყო. ჩვენი სამშობლოს სხვა ათასობით პატრიოტთან ერთად ისიც ფრონტზე გაემგზავრა და თავი ისახელა გერმანელ ფაშისტებთან ბრძოლაში. 1944 წლის 7 აპრილს ნ. კოპალიანი გმირული სიკვდილით დაეცა პუშგორის ველზე (კალინინის ოლქში).

ავტორის დაღუპვასთან ერთად მისი ეს ნაწარმოებიც დავიწყებას მიეცა, მაგრამ რედაქციის არქივში მას შემთხვევით ... [illegible] ... ლერ“ ... [illegible] ... ბისადმი მიძღვნილი ... ლირიკული პოემა „ბედნიერ დღეთა მახარობელი“ ... [illegible] ... ლერ“ ... [illegible] ... ბისადმი მიძღვნილ